

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

- 1. პროექტის განხორციელების ადგილი:** ჭიათურის რაიონი, სოფ. წასრი; არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი ს/კ 38.16.34.385 (დანართი N1-1 - სიტუაციური რუკა; გენ-გეგმა)
- 2. მონაცემები საწარმოს შესახებ-** მოცემულია ცხრილი N1-ში

ობიექტის დასახელება	ინდ. მეწარმე - ივანე ასანიძე
ობიექტის მისამართი:	
ფაქტობრივი	ჭიათურის რ-ნი, სოფ. წასრი
იურდიული	ქ. ჭიათურა, გოგებაშვილის ქ. №18
საიდენტიფიკაციო კოდი	54001009931
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემა)	X – 363660; Y – 4678560;
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	ივანე ასანიძე
ტელეფონი:	599938042
ელ-ფოსტა:	ivaneasanidze2@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	84 მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ავტოგასამართი სადგური
გამომშვებული პროდუქციის სახეობა	რეალიზებული/გადატვირთული ბენზინი - 60000ლ; რეალიზებული/გადატვირთული დიზელი - 40000 ლ
საპროექტო წარამადობა	რეალიზებული/გადატვირთული ბენზინი 60000ლ წელიწადში; რეალიზებული/გადატვირთულ დიზელი - დიზელი 40000ლ წელიწადში
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24 სთ

- 3. საწარმოს განთავსების ადგილი:** ავტოგასამართი სადგურის მოწყობა(და მასთან ერთად ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობა) იგეგმება ჭიათურის რაიონში, სოფ. წასრის მიმდებარედ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ს/კ 38.16.34.385, რომელიც წარმოადგენს ინდ. მეწარმე ივანე ასანიძის საკუთრებას. ნაკვეთის ფართობი მთლიანად შეადგენს 779 მ²-ს.

ავტოგასამართი განთავსდება ზემოდან გადახურულ ღია შენობაში, ხოლო საწვავის რეზერვუარები განთავსდება მიწისქვეშ.

საწარმოს განთავსების ტერიტორია წარმოადგენს ათვისებულ, ტექნოგენურად უკვე სახეცვლილ ტერიტორიას და ავტოგასამართი სადგურის მოწყობისას და ფუნქციონირებისას მიმდებარე ლანდშაფტზე ახალი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

4. **საქმიანობის მასშტაბი:** საწარმო გეგმავს წლიურად მოახდინოს 100000ლ საწვავის(40000ლ დიზელის და 60000 ლ ბენზინის) მიღება-გაცემა/რეალიზაცია;
5. **დაგეგმილი საქმიანობის აღწერა:** ავტოგასამართი სადგურის მოწყობის სამუშაოების საწყის ეტაპზე განხორციელდება ტერიტორიის მოსწორება. სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით მოეწყობა სადრენაჟო ფენა(დაიყარა შლამი, რომელიც დაიფარება ღორღით), მომანდაკდება, რის შემდეგაც მოეწყობა ბეტონის საფარი, რომელზეც აშენდება საოფისე შენობა და საოპერატორო. ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება 2 ტიპის საწვავის ბენზინის და დიზელის რეალიზაცია, საწვავის მიღება-შენახვისათვის დაგეგმილია 2 ერთეული მიწისქვეშა საწვავის ავზის მონტაჟი. საწვავის ავზები განთავსდება ბეტონის მეორად შემაკავებელში(ჯამში). ბეტონის ჯამის ქვეშ, ასევე შიგნით გაკეთდება ქვიშის ბალიში, რომელზეც დაიდგმება საწვავის რეზერვუარები, რომელთა მოცულობები იქნება: დიზელის რეზერვუარი -5ტ; ხოლო ბენზინის რეზერვუარის 4,6ტ. რეზერვუარებში საწვავის მიღება განხორციელდება 2 დგარის(სარქველის) მეშვეობით, რეზერვუარებზე მიერთებული იქნება 2 გამცემი საწვავ-მარიგებელი სვეტი. საწვავის გაცემის ადგილი განთავსდება მსუბუქი კონსტრუქციის ნახევრად ღია შენობაში. ავტომობილის სადგომი ტერიტორიის(სადაც არ ხვდება წვიმის წყალი) ირგვლივ დამატებით მოეწყობა წყალშემკრები დრენაჟი და დაერთებული იქნება გამწმენდ ნაგებობაზე (სალექარზე) რომ არ მოხდეს შემთხვევით დაღვრილი საწვავის პირდაპირი სახით ბუნებაში მოხვედრა. საწვავ-მარიგებელი სვეტები დამონტაჟებული იქნება ზემოდან დახურულ ტერიტორიაზე (ფარდულის ქვეშ), რომელიც დაკავშირებული იქნება თანამედროვე სპეციალურად საწვავისთვის განკუთვნილი მილებით საწვავის ავზებთან. რეზერვუარებიდან საწვავი მიეწოდება ავტოგასამართ საწვავის სარიგებელ სვეტებს, საიდანაც მოხდება მისი ავტომანქანების ავზებში გადასხმა საწვავის მიღება დაგეგმილია ავტოცისტერნების საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ დგარებზე. რეზერვუარები განთავსებული იქნება მიწაში. მათი „სასუნთქი სარქველები“-ს სიმაღლე იქნება H=0,2 მ და დიამეტრი D=0.05 მ. რეზერვუარები დაფარული იქნება ანტიკოროზიული ნივთიერებებით. ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 100000ლ-ის ოდენობით. (40000 დიზელის საწვავი და 60000 ბენზინის საწვავი.)

ავტო გასამართის ტერიტორიაზე ასევე განთავსდება მეხამრიდი, რომელიც სრულად დაფარავს სარეზერვუარო პარკს და ფარდულს (სარიგებელ სვეტებს).

ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღება-გაცემა განხორციელდება ავტომატური რეჟიმით.

6. დანადგარის განთავსების კოორდინატები: x-363655; y-4678580;
7. საპროექტო წარმადობა: 100000ლ (40000ლ დიზელის და 60000ლ ბენზინის) საწვავის მიღება/გაცემა;
8. სამუშაო დღეთა რაოდენობა: 365 დღე
9. სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში: 24 სთ;
10. გამოყენებული რესურსები: ავტოგასამართი სადგურის მოწყობა ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსების გამოყენება არ იგეგმება.
11. დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან: 84მ(24 მეტრში მდებარეობს არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია შენობანაგებობა, რომელიც არ წარმოადგენს საცხოვრებელ სახლს)
12. გამოყენებული საწვავი: არ გამოიყენებს საწვავს
13. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები: ავტოგასამართი სადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ელემენტებია:
 - ოფისი-საოპერატორო;
 - სარეზერვუარო პარკი;
 - საწვავის მარიგებელი სვეტები;
 - ავტოცისტერნის დაცლის პლატფორმა;
 - სანიაღვრე წყლების შემკრები ღარები და სალექარი ;
14. ტექნოლოგიური სქემა: საწვავის მიღება მოხდება ავტოცისტერნებით. საწარმოს ტერიტორიაზე შემოსული ავტოცისტერნა დაერთდება რეზერვუარების ჩამსხმელ დგარზე, რომლის მეშვეობით მოხდება საწვავის რეზერვუარებში განთავსება. საწვავის მიღებისას მოხდება ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება საწვავის მიღების პროცესი. რეზერვუარებიდან მოხდება საწვავის გამცემი სვეტებისთვის მიწოდება და მომხმარებლებზე გაცემა. ყველა პროცესი განხორციელდება ავტომატურად.
საწარმოში მუშაობა იგეგმება 2 ცვლაში - 12 საათიანი ცვლის ხანგრძლიობით. წელიწადში სამუშაო დღეთა რაოდენობა არის 365 დღე, საწარმოში იმუშავენ 4 ადამიანი.
საწარმო ენერგორესურსის სახით გამოიყენებს ელექტროენერგიას.
15. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში:
გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებით; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა
ა. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე:

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა(ნახშირწყალბადები) წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და გაცემისას.

ქვემოთ ცხრილ-1-ში მოცემულია ავტოგასამართი სადგურიდან მოსალოდნელი გაფრქვევის მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

#	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია(ზდკ) მგ/მ ³		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღეღამური	
1	2	3	4	5	8
1.	ბენზინის ორთქლი	311	5	-	4
2.	დიზელის საწვავის ორთქლი	314	1		4

როგორც უკვე აღინიშნა, ავტოგასამართი სადგურიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევების ინტენსივობების მაქსიმალური ჯამური მნიშვნელობები მიიღება საწვავის მიღებისას და ავტომობილების გამართვისას.

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმო გეგმავს 2 სახეობის საწვავის რეზერვუარის ფუნქციონირებას საწარმოს მუშაობისას ადგილი ექნება გაფრქვევას 2 წყაროდან, დიზელის მიღება-გაცემისას და ბენზინის მიღება-გაცემისას.

1 ლიტრი დიზელის საწვავისათვის რელიზაციისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 0,0025 გ ნახშირწყალბადები, ხოლო 1 ლიტრი ბენზინის რელიზაციისას 1,4გ ნახშირწყალბადები.

ერთი წლის განმავლობაში ავტოგასამართი სადგური მაქსიმუმ 40000 ლიტრს დიზელის საწვავის და 60000 ლიტრი ბენზინის რელიზაციას მოახდენს.

აქედან გამომდინარე წლის განმავლობაში ავტოგასამართი სადგურის მიერ გაფრქვეული ნახშირწყალბადების წლიური რაოდენობა ტოლი იქნება:

დიზელის საწვავისათვის:

$$G_{ნახშ} = 40000 * 0,0025 / 10^6 = 0,0001 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{ნახშ} = 0,0001 * 10^6 / 8760 / 3600 = 0,000003 \text{ გ/წმ}$$

ბენზინისათვის:

$$G_{ნახშ} = 60000 * 1,4 / 10^6 = 0,084 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{ნახშ} = 0,084 * 10^6 / 8760 / 3600 = 0,003 \text{ გ/წმ}$$

სულ წლიურად ავტოგასამართი სადგურიდან გაიფრქვევა 0,0841ტ ნახშირწყალბადები. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობები მინიმალურია დაშვებული ნორმების ფარგლებშია.

ბ. ხმაურის ზემოქმედება:

საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო, ვინაიდან ავტოგასამართ სადგურზე არ რის გათვალისწინებული მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების განთავსება. საწარმოს სპეციფიკის და განთავსების ადგილის გათვალისწინებით გამორიცხულია მოსახლეობაზე და დასაქმებულებზე ხმაურის უარყოფითი გავლენა.

გ. ზემოქმედება ლანდშაფტზე:

ავტოგასამართი სადგურის მოწყობა იგეგმება ტერიტორიაზე რომელიც წარმოადგენს ათვისებულ, ტექნოგენურად უკვე სახეცვლილ ტერიტორიას. ავტოგასამართის მოწყობისას არ იგეგმება დიდი მოცულობის და ზომების სამშენებლო სამუშაოების განხორციელება რის გამოც და ფუნქციონირებისას ლანდშაფტის სერიოზული ვიზუალური ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

დ. ზემოქმედება ნიადაგურ საფარზე და მიწის რესურსებზე- საწარმოს მოწყობისას და ექსპლუატაციისას მიწის რესურსებაზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან საწარმო მოწყობა იგეგმება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, სადაც არ ფიქსირდება მიწის ნაყოფიერი ფენა, ასევე არ არის საჭირო დამატებით ახალი მისასვლელი გზების მოწყობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიწის რესურსებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ე. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

წყალაღება - ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმო მიზნებისათვის არ გამოიყენება, წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. წყლით მომარაგება მოხდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლები - რადგან ავტოგასამართი სვეტები განთავსებული იქნება ზემოდან დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს. აღნიშნული სანიაღვრე წყლები მიერთებული იქნება ტერიტორიაზე არსებულ სანიაღვრე კანალიზაციასთან.

საყოფაცხოვრებო წყლები - ასეთი წყლების შესაგროვებლად მოეწყობა წყალგაუმტარი ორმო,(X-363641.74; Y467594.7) ნახმარი(საყოფაცხოვრებო) წყლების წყალშემკრები 3მ³ მოცულობის ბეტონის ავზი/რეზერვუარი, საიდანაც საჭიროების დადგომისას მოხდება ამ წყლების გატანა და განთავსება გამწმენდ ნაგებობაში, რომელიც განხორციელდება ქ.ჭიათურის წყალარინების სამსახურის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ავტოგასამართი სადგურის მოწყობის და ექსპლუატაციის ფაზებზე წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი ხარისხის ზემოქმედება.

ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება - დაგეგმილი ავტოგასამართიდან 30 მ-ში გაედინება მდ. სამალისხევი. ავტოგასამართის მოწყობისას გატარდება დამატებითი ღონისძიებები მდინარის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, საწვავის რეზერვუარები განთავსდება ბეტონის ჯამში, რომლის მოცულობა ბეტონის რეზერვუარების მოცულობის 110%-ზე მეტია. ბეტონის ჯამი დაიდგმება დამატებით ქვიშის ბალიშზე(1მ სიღრმის). ასევე ბეტონის ჯამში რეზერვუარების ჩადგმამდე მოეწყობა ქვიშის ბალიში(0,5მ სიღრმის). რაც ავარიული სიტუაციის შემთხვევაშიც გამორიცხავს საწვავის გაჟონვას და მდინარის დაბინძურებას.

ზემოქმედება ფლორასა და ფაუნაზე: ავტოგასამართის მოწყობისას არ არის დაგეგმილი საწარმოს ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოჭრა. საწარმოს ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები.

ვ. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები:

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას არ მოხდება ნამეტი ოდენობის მასალების შექმნა. მიწის სამუშაოებისას წარმოშობილი ინერტული ნარჩენი გამოყენებული იქნება ტერიტორიის მოსაშენდაკებლად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ადგილი არ ექნება ინერტული ნარჩენების წარმოქმნას.

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. მუნიციპალურ ნარჩენების გატანაზე გაფორმდება ხელშეკრულება მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების განთავსებისათვის უბანი, სადაც განთავსებული იქნება ნაგვის ურნები დასტიკერებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია პრაქტიკულად მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში მაქსიმუმ 3-5 მ³-ის ოდენობით). აღნიშნული ნარჩენებისა და ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ მათი დროებითი განთავსება, ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

ზ. უსაფრთხოება და ავარიული სიტუაციები: ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მათი დაღვრა. ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტების მოედნის გარე პერიმეტრი მოწყობილი იქნება არხებით, რომელიც შეერთებული იქნება მიწისქვეშა სალექარ ავზთან, სადაც

დაღვრის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება.

სალექარი წარმოადგენს 1მ³ მოცულობის ბეტონის რეზერვუარს. რეზერვუარი აღჭურვილი იქნება ტივტივით და ნავთობპროდუქტების მიმღები ორმოთი. ნავთობპროდუქტების მიმღებ ორმოში ჩაფენილი იქნება შლამი.

სალექარში მოხდება დაღვრილი ნავთობპროდუქტებისაგან რეზერვუარში მოხვედრილი წყლის გაწმენდა. ნავთობპროდუქტების მიმღები ორმოდან ამოღებული ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნიათ შესაბამისი ნებართვა.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით ავტოგასამართ სადგურზე დამონტაჟებული იქნება სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით და სახანძრო საშუალებებით.

ბენზინგასამართის ტერიტორიაზე ასევე განთავსებული იქნება მეხამრიდი, რომელიც სრულად ფარავს სარეზერვუარო პარკს და ფარდულს სარიგებელი სვეტებით.

ობიექტზე დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების წესები. ავტოგასამართი აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

თ. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე :

საწარმოს ტერიტორია არ განეკუთვნება ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიას და არ მდებარეობს ასეთი ტერიტორიების სიახლოვეს. აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ი. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება :

საწარმო ფუნქციონირებით გარკვეულ წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება(დაახლოებით 4-მდე ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

კ. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე:

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის.

ლ. საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:

დაგეგმილი ავტოგასამართის სიახლოვეს ანალოგიური პროფილის ობიექტი არ ფიქსირდება. თუმცა ასეთების არსებობის შემთხვევაშიც დაგეგმილი საწარმოს მცირე მასშტაბიდან და ასეთი პროფილის საწარმოების გარემოზე მცირე ზეგავლენის

გათვალისწინებით მათი ერთობლივი ფუნქციონირება არ გამოიწვევს გარემოზე ზემოქმედების ნორმების დარღვევას.


მ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები:

ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს(1კმ) არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

გეგმა

საკადასტრო კოდი: 38.16.34.385

ფართობი: 721 კვ.მ



- დიზელის მიღება-გაცემა (ბ-1);
- ბენზინის მიღება-გაცემა (ბ-2);

WGS 84 / UTM zone 38N

